ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდები: №64.30.06.290; №64.30.01.316; №64.30.06.271) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 დეკემბრის N591 დადგენილების - „ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი გეგმების დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისად მიმდინარეობს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2020 წლის 26 ნოემბრის N107/ო ბრძანებისა და 2020 წლის 30 ნოემბრის N11/20 ადმინისტრაციული ხელშეკრულების საფუძველზე დამუშავებული დოკუმენტაციის - ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდები: №64.30.06.290; №64.30.01.316; №64.30.06.271) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის განხილვა.

საპროექტო ტერიტორია მდებაროებს ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიაზე და მოიცავს 3 საკადასტრო ერთეულს: №64.30.06.290; №64.30.01.316; №64.30.06.271. საპროექტო და მიმდებარე მიწის ნაკვეთებს მისასვლელი გზა გააჩნია ჩრდილოეთის და სამხრეთის მხრიდან. ტერიტორიასთან მიყვანილია საინჟინრო ქსელები. რელიეფი მცირედ ქანობიანია. პროექტით განსაზღვრულია შენობების ზემოთხსენებული გზების მხარეს განთავსება ისე, რომ მათ შორის დარჩეს გამწვანებული არეალები. საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საკურორტო ზონა 1 (შზ-6), რომლის სამშენებლო პარამეტრებია: განაშენიანების კოეფიციენტი კ1-0.2, განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი კ2-0.2, გამწვანების კოეფიციენტი კ3-0.4; მაქსიმალური სართულიანობა: 2 + მანსარდული სართული; მაქსიმალური სიმაღლე: კედლის ბოლომდე 7.5 მეტრი, კეხში 12.5 მეტრი.

საპროექტო ტერიტორიაზე საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციასთან დაკავშირებით მოსაზრებების წარდგენა შესაძლებელია 10 სამუშაო დღის ვადაში 2021 წლის 15 აპრილამდე, შემდეგი ელექტორნული ფოსტის მეშვეობით: sajaro.gankhilvebi@mrdi.gov.ge